მწვანე ალტერნატივა

„ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ პლატფორმა

„ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ პლატფორმას და მწვანე ალტერნატივას ერთობლივი შენიშვნები

შპს „ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის“ მიერ ქ. ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის

სკოპინგის ანგარიშზე

29 მაისი, 2024

1. ალტერნატივები და კუმულაციური ზემოქმედება. ანგარიშის მე-7 თავი (გვ. 36) ეძღვნება ალტერნატივების განხილვას. თავი იწყება არქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის განხილვით და საქართველოში გზშ პრაქტიკოსების მიერ დამკვიდრებული, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული პრიმიტიული განმარტებით, რომ „ნულოვანი ალტერნატივის შემთხვევაში პროექტის განხორციელების დროს ...მოსალოდნელ ზემოქმედებას ფიზიკურ, ბიოლოგიურ და სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ადგილი არ ექნება“; ასევე, არ შეიქმნება დასაქმების შესაძლებლობები და შემცირდება ეკონომიკური განვითარების პერსპექტივა.

ნულოვან ალტერნატივაში, განხილული უნდა იყოს ვითარება დაგეგმილი პროექტის გარეშე, რაც გულისხმობს საპროექტო ტერიტორიის არეალში უკვე ნებადართული (არსებული) ან/და პროგნოზირებული პროექტების განხორციელებით გამოწვეული ცვლილების აღწერას[1]. ასეთი აღწერა, გზშ კვლევის სხვა ნაწილში, კუმულაციური ზეგავლენების დადგენის პროცესსაც გამოადგება. ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის შემთხვევაში, ნულოვან ალტერნატივაში განხილული უნდა იყოს, მაგალითად: სამეგრელოსა და ხობის ქუჩებზე მულტიმოდალური ტერმინალის მოწყობის პროექტი, ლარნაკას და ფალიაშვილის ქუჩებზე ტერმინალების მოწყობის პროექტები, კოკაიას ხეივანში სატვირთო ავტომანქანების პარკის მოწყობის პროექტი. სავარაუდოა, რომ ტერმინალი მოეწყობა ჯავახიშვილის ქუჩაზეც (ეს ქუჩა მიუყვება ნავსადგურს), სადაც ამჟამად ნავსადგურის უშუალო სიახლოვეს მდებარე ორი კორპუსიდან მაცხოვრებლების იძულებითი განსახლება ხდება. ამ პროექტების დადგენა/განხილვა დაეხმარება ანგარიშის ავტორებს

[1] განმარტებისთვის, მაგალითად, იხილეთ საყოველთაოდ გავრცელებული წყარო: International Association for Impact Assessment და მისი განმარტება: „The no-action alternative is not the same as the baseline (or existing situation)—the no-action alternative is the future situation without the project, but taking into account the evolution of the baseline conditions, including other projects, approved or reasonably foreseen in the future.“

დაგეგმილი პროექტის კუმულაციური ზეგავლენების დადგენაშიც (განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში, ავტორები უარყოფენ კუმულაციური ზეგავლენის არსებობას).

2. ნაყარი ტვირთების დასაწყობება. მე-18 გვერდზე აღნიშნულია, შემდეგი: *„ნაყარი ტვირთი ინახება შტაბელებად სასაწყობე პლატფორმებზე ტვირთის ტიპის მიხედვით. ნაყარი ტვირთი საწყობდება დახურულ საწყობში ან ტერიტორიაზე არსებულ ღია სასაწყობე მოედნებზე. ნაყარი ტვირთები გადაიფარება ტენტით გაფანტვისგან დასაცავად.“*.

ეს ჩანაწერი არ შეესაბამება სინამდვილეს: ნავსადგურის მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობა დაადასტურებს და ასევე, დოკუმენტირებულია ის, რომ ნაყარი ტვირთები არ იფარება ტენტით. ამგვარი დასაწყობება და ასევე, ნავსადგურის ტერიტორიაზე ღია წესით მიმდინარე გადატვირთვები გარემოს დაბინძურების უსერიოზულეს წყაროდ იქცა.

ვინაიდან ამჟამად იხილება ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საკითხი, ეს შესაფერისი დროა (პროექტის განმახორციელებლისთვის, დამფინანსებლისთვის და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამცემი სახელმწიფო უწყებისთვის) იმისათვის, რომ შეფასდეს და გადაიხედოს მიმდინარე (ე.წ. პირველი ფაზის) პრაქტიკა - რამ იმუშავა, რამ - არა და რა უნდა გამოსწორდეს; შესაბამისად, შეიძლება შეიცვალოს ნაყარი ტვირთების დასაწყობების ტექნოლოგია, ან/და შეიცვალოს/დაემატოს ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებები, ან/და გამკაცრდეს სამუშაოთა შესრულების მონიტორინგი - არსებული ვითარების და აუცილებლობის მიხედვით.

3. ტექნოლოგიური ცვლილება. ანგარიშიდან ნათელი ხდება, რომ პროექტი, სხვა სამუშაოებთან ერთად, გულისხმობს სანაპირო სტაციონარული დახურული კონვეიერული სისტემის (კონვეიერული ესტაკადის და გადასატვირთი სადგურების) და გემჩამტვირთველი მანქანის მონტაჟს: ტერიტორიაზე ამჟამად არსებული („ახალი“) საწყობიდან გემში ჩასატვირთად რელსებზე მოძრავი გემჩამტვირთავი მანქანის და 1200 ტ/სთ წარმადობის სტაციონარული დახურული ტიპის კონვეიერების სისტემის მოწყობას (გვ. 45).

3.1.1 ქვეთავში (გვ. 18) აღწერილია ამჟამად მოქმედ საწყობებში კარბამიდის დასაწყობებისა და გადატვირთვის პროცესები. აღწერიდან ნათელი ხდება, რომ ე.წ. „ახალ“ საწყობში ნაყარი კარბამიდი ნავსადგურის ტერიტორიაზე ხვდება რკინიგზის საშუალებით და თავსდება ბუნკერებში.

> *„კარბამიდის შემოტანა ხდება რკინიგზით, ჰოპერებით. საწყობთან მოწყობილია ორი მიმღები ბუნკერი [1] ჰოპერა ვაგონის დასაცლელად. ერთჯერზე იცლება მხოლოდ ერთი ჰოპერა ვაგონი. ბუნკერები დახურულია და განთავსებულია მიწის ქვეშ. თითოეულ ბუნკერს გააჩნია სამი დახურული ჭიანჭრახნული გადამტვირთველი [2], რომლიდანაც ტვირთი იყრება ლენტურ კონვეიერზე [3] და ლენტური კონვეიერების მეშვეობით [4,5] გადაიტვირთება 11 ერთეულ რევერსულ ლენტურ კონვეიერზე [6], რომელთა მეშვეობითაც გადაიტანება საწყობში.“*

8.2 ქვეთავში აღწერილია კონვეირული სისტემისა და გემჩამტვირთველის მახასიათებლები და ფუნქციონირების დეტალები და ყურადღებაა გამახვილებული მტვერის გავრცელების პრევენციის საკითხებზე; ამასთან, არაფერია აღნიშნული იმის შესახებ, რა ხდება ტვირთის კონვეირულ სისტემაში მოხვედრამდე (რკინიგზით შემოტანა, ბუნკერებში განთავსება) და ამ სამუშაოების

გარემოზე (განსაკუთრებით, ჰაერის მდგომარეობაზე) ზეგავლენის შესახებ. სისტემა, თავისი თანმყოლი ზეგავლენებით (და შესაბამისად, ზეგავლენის შემარბილებელი ღონისძიებებით), უნდა აღიწეროს სრულად და არა, ასე, ამოგლეჯილად.

ასევე, პროექტით შემოთავაზებული ტექნოლოგიური ცვლილების ნათლად წარმოსაჩენად, უნდა აღიწეროს და (შესაძლოა, შედარებით ცხრილში) წარმოჩინდეს ამჟამად მოქმედი კონვეირული სისტემის და გემჩატვირთვის ფუნქციონირების სისტემა, რათა მკითხველისთვის ნათელი გახდეს ტექნოლოგიური გაუმჯობესება (თუკი ასეთს აქვს ადგილი).

4. ჰაერის ხარისხი. ანგარიშში თავად ავტორები აღნიშნავენ, რომ ზოგ შემთხვევაში, ჰაერის ხარისხზე მონაცემები არ არსებობს, ან მათვე მოჰყავთ ინფორმაციის წყაროები და მონაცემები, რომელთა სანათადობა (მაგალითად, არამუდმივი დაკვირვების, არასათანადო ანალიზის, ან იმის გამო, რომ არ ხდება მათი (მაგ., APM ტერმინალის მონაცემების) სახელმწიფო ორგანოს ან დამოუკიდებელი მხარის მიერ გადამოწმება), ნდობის საფუძველს არ იძლევა.

აუცილებელია, დადგინდეს ჰაერის ფონური მდგომარეობის ნათელი, მიუკერძოებელი სურათი და მის ამჟამინდელ (და მომავალ) მდგომარეობაში ფოთის ახალი ნავსადგურის ოპერირებით შეტანილი „წვლილი“. ამისათვის, უპირველს ყოვლისა, მნიშვნელოვანია ნათლად აღიწეროს არსებული ინფორმაციული ნაკლოვანებები (gaps) და ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები (მაგალითად, სისტემური დაკვირვება, მესამე მხარის მიერ მონაცემების/ანალიზის დადასტურება, ადგილობრივ მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდების და კომუნიკაციის (მათ შორის, არამარტო მშენებლობის, არამედ ოპერირების ეტაპზეც საჩივრების განხილვის) მუდმივმოქმედი მექანიზმების შემოღება და გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა).

5. ხმაური. როგორც ანგარიშის დასაწყისშია ნახსენები, ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის „სამშენებლო სამუშაოები დაიწყო 2020 წელს და დასრულდა 2022 წლის ბოლოს. ობიექტი გაიხსნა 2022 წლის 29 იანვარს“ (გვ. 13). ამასთან, ხმაურთან დაკავშირებით მოყვანილი გაზომვების მონაცემები აღებულია ნავსადგურის ოპერირების დაწყებამდე, 2022 წლამდე. ამდენად, აუცილებელია, ჩატარდეს დამატებითი კვლევა ხმაურთან დაკავშირებით და მისი მონაცემები აისახოს გზშ კვლევაში.

6. აკვატორიის ფსკერის კაპიტალური დაღრმავება, პერიოდული დრეგირება და ამოღებული (დრეგირებული) მასალის განთავსება კანიონში. აუცილებელია, ჩატარდეს კონსულტაციები საქართველოში მოქმედ კონსერვაციულ ორგანიზაციებთან (ასევე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ჯგუფთან) ბიომრავალფეროვნებაზე (მაგალითად, წყლის ფრინველებზე (seabirds), ქაფშიის გამრავლების, ზუთხის სახეობების გადაადგილებისა და ქვირითობის არელებზე) ამ სამუშაოების შესაძლო ზეგავლენის სრულფასოვნად შესაფასებლად.

7. საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. ანგარიშის 184-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „კომპანიას აქვს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა/პროცედურები, რომლებიც საშუალებას მისცემს დროულად მოახდინონ რეაგირება ავარიების შემთხვევაში“. ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების (რუსეთ-უკრაინის ომისა და ამის შედეგად, შავ ზღვის სანაპირო ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, 2022-2023 წლებში ნაღმების გავრცელების შემთხვევების) გამო, მნიშვნელოვანია, კომპანიას დადგენილი ჰქონდეს საომარი ვითარებით გამოწვეულ საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების ღონისძიებები.

8. სოციალური გარემო საპროექტო რეგიონში. ანგარიშის 184-ე გვერდიდან იწყება სოციალური გარემოს აღწერისადმი მიძღვნილი ქვეთავი, რომელიც გაჯერებულია უსარგებლო ინფორმაციით, მაშინ როდესაც პროექტთან უშუალოდ დაკავშირებული ინფორმაცია საერთოდ არ არის ნახსენები. ასე, მაგალითად: ნახსენებია, რომ „2024 წლის იანვრის მდგომარეობით ქ.ფოთში 7687 დევნილი და 5 ლტოლვილია რეგისტრირებული“ და არაფერია ნათქვამი ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის უშუალო სიახლოვეს, ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე ორ კორპუსზე, სადაც მცხოვრები მოქალაქეების უდიდესი ნაწილი სწორედ აფხაზეთიდან დევნილია. თანაც, ეს ის მოქალაქეები არიან, რომლებიც ნავსადგურის ოპერაციების უშუალო ზეგავლენის ქვეშ ექცევიან და ამჟამად, იძულებითი განსახლების პროცესში იმყოფებიან.

ანალოგიურად, ამ ქვეთავში საუბარია, ზოგადად, გავრცელებულ დაავადებებზე და არაფერია ნათქვამი 2021-2022 წლებში „ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ პლატფორმის და ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ 3-14 წლის ასაკის ბავშვებში ჩატარებული კვლევებისა და მათი შედეგების შესახებ[2,3,4,5,6].

გაუგებარია, რა ფასეულობა გააჩნია ამავე ქვეთავში მოცემულ ინფორმაციას ტელე, რადიო და ბეჭდური გამოცემების შესახებ (ამ მონაცემების წყაროც არ არის მითითებული), როდესაც არ არის განმარტება გაკეთებული მათზე წვდომის/გამოყენების შესახებ. ამავე დროს, არაფერია ნათქვამი ინტერნეტზე (მათ შორის, შესაფერის მოწყობილობებზე) წვდომაზე, მაშინ, როდესაც თავად ამ განსახილველ პროექტზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ნაწილობრივ დიგიტალიზებულია (მაგალითად, განსახილველად წარმოდგენილი დოკუმენტი მხოლოდ ონლაინ ქვეყნდება).

9. ჩვენი ბოლო შენიშვნა **საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას** და შესაბამისად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს ეხება. მაშინ, როდესაც ფოთის ახალი საზღვაო ნავსადგურის მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრები მოქალაქეებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია ნავსადგურის ოპერირების ჯანმრთელობაზე ზეგავლენის საკითხი, სკოპინგის ანგარიშის განხილვისადმი მიძღვნილ საჯარო განხილვაში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ „ფოთელები საკუთარი უფლებებისთვის“ პლატფორმის ორმა წარმომადგენელმა და ნავსადგურის მიმდებარედ მცხოვრებმა ერთმა მოქალაქემ, რომელსაც პლატფორმამ შეატყობინა შეხვედრის შესახებ. ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ინფორმაცია არ იქნა სათანადოდ გავრცელებული დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისთვის.

---

[2] Pure Earth-Georgia-მ ჩვენი პლატფორმის მიმართვის საფუძველზე ფოთში ტყვიის დაბინძურების წყაროს კვლევა ჩაატარა...

[3] რამდენიმე წუთის წინ, მივიღეთ ეს ინფორმაცია მერიიდან, რასაც 3 თვეა არ გვაძლევდნენ...

[4] გასულ წელს, როცა გვინდოდა ბავშვებში ტყვიის შემცველობის შემოწმება, გვითხრეს, რომ ტყვიის სახელმწიფო პროგრამა არ მუშაობს...

[5] ტყვიის სახელმწიფო პროგრამა ფოთში ახალ პაციენტებს აღარ იღებს

[6] კვლევის შედეგები: ტყვიის მაღალი კონცენტრაცია ფოთელი ბავშვების სისხლში